

**დაპორტირებული და მუჰაჯირი ქართველების
შთამომავალთა განსხვავებული
ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმისათვის
FOR DIFFERENT LINGUISTIC AND ETHNIC
SELF-PERCEPTION OF DESCENDANTS
OF EXILED AND MUHAJIR GEORGIANS**

ტარიელ ფუტყარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო ნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tariel Putkaradze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Today, when the society engages in self-identification, national individuality or national identity is understood in two ways:

- National or ethnic identity being perceived in terms of ethnicity, ethnic community;
- National or civic identity grasped in terms of citizenship of a particular state.

The proposed article explores the role and importance of the knowledge of one's own history for understanding of a person's ethnic identity. Namely, the proposed article offers the discussion on self-perception of those citizens of Iran and Turkey who for various reasons left or were forced to leave their country 150-300 years ago. It should be noted that the analysis of reasons for leaving the motherland by those exiled to Iran or the Muhajir Georgians is directly related to the ethnic self-identification process of a certain part of living descendants of their heirs.

The genetic code of the Georgians of Iran still maintains the pain of exile, the pain that prevents them from losing Georgianness.

While in the consciousness of a larger part of the Georgian of Turkey the concept of being Muhajir (referred to as Muhajiroba) is associated with survival. The majority of them still believes that their lives had been rescued by the Ottoman Empire.

Current global tendency (i.e. citizenship equals ethnicity) leads to a dual ethnic identity of Georgians of Turkey.

Indeed, Georgians of both Iran and Turkey should commit themselves to their current states of residence, however, they are to be aware of the tragedy of their ancestors in an unbiased way.

საკვანძო სიტყვები: ირანის ქართველები, ფერეიდნელი ქართველი, მუჰაჯირი ქართველი, ეთნიკური იდენტობა.

Keywords: Georgians of Iran, Georgians of Fereydan, Muhajirs Georgians, ethnic identity.

საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის დროს ეროვნული მეობა ანუ ეროვნული იდენტობა დღეს ორგვარად გაიზარდა:

- ეროვნული ანუ ეთნიკური მეობა ამა თუ იმ ეთნოსის, ეთნიკური ერთობის შესაბამისად;

- ეროვნული ანუ მოქალაქეობრივი მეობა ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის შესაბამისად.¹

წარმოდგენილ სტატიაში ვიმსჯელებ ირანისა და თურქეთის იმ მოქალაქეთა თვითაღქმაზე, რომლებმაც **სხვადასხვა მიზეზით** სამშობლო დატოვეს თუ დაატოვებინეს 150-300 წლის წინ. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ირანში გადასახლებულ თუ მუჰაჯირ ქართველთა მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზის ანალიზი უშუალო კავშირშია მათი შთამომავლების ამუშავებული შთამომავლების **გარკვეული ნაწილის** ეთნიკური თვით-იდენტიფიკაციის პროცესთან.

ეთნიკური თვითაღქმის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. მოცემულ კონტექსტში სპეციალისტთა დასკვნებზე მეტად მნიშვნელოვანია 229 წლის წინ ქართველი მეფე-მთავრების მიერ ხელმოწერილ „იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“ წარმოდგენილი „კრიტიკიუმები“, რომლებიც განსაზღვრავენ ქართველობას (იბერიელობას). არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ **ამ ტრაქტატის შექმნის საჭიროება გაჩნდა ირან-ოსმალეთის აგრესიის გამო დანაწევრებულ საქართველოში.**² კერძოდ, 1790 წელს ქართველი მეფე-მთავრები და სწავლული კაცები თვლიდნენ, რომ იბერიელობას ანუ ქართველობას განსაზღვრავს: **საერთო რელიგია, ერთი ენა, საერთო წარმომავლობა** (ერთი სისხლი და საერთო ისტორიული მეხსიერება).³

¹ ერის ასეთი გაგება აქვს თანამედროვე ცივილიზებულ, დემოკრატიულ (ნამდვილ ლიბერალიზმზე ორიენტირებულ) სახელმწიფოებს!

² შდრ.: მსგავსი საჭიროება იყო, ასევე, არაბობის დროს; შესაბამისად, მაშინ დაიწერა გიორგი მერჩულის ცნობილი ფრაზა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...“ მსჯელობისათვის იხ.: ფუტკარაძე 2003 (1); ფუტკარაძე 2003 (2)

³ „ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსისა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა“: ვინაიღვან (ვინათვან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ **ერთმორწმუნება** (ერთმორწმუნება), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და **ერთისა ენისა მქონებელნი**, აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა **სისხლით ნათესავთა** და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის ჰირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღუთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების. წარმოდგენილი კრიტიკიუმების ანალიზისათვის იხ.: ფუტკარაძე 2011.

შდრ.: 1790 წლიდან ზუსტად 219 წლის შემდეგ, 2009 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უნშიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ქვეყნდება „ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი“, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობის წარმომადგენლები. ახალი ტრაქტატის შექმნის საჭიროება გააჩინა ჯერ ბოლშევიკური თუკომუნისტური რუსეთის იმპერიის მესვეურების, ბოლოს კი ე.წ. ფსევდოლიბერალების პერმანენტულმა მცდელობამ, ენობრივ-ეთნიკურად დაენანვერებინათ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დიდი ღვაწლით აღორძინებული ქართველი ერის ერთიანობა. ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ მთლიანობას განსაკუთრებით დიდი საფრთხე შეექმნა 1992-93 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სისხლიანი დამხობის შემდეგ.

ქართველი ერისა და ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო აგრესიის მოსაგერიებლად შექმნილ „ივერიელთა ახალ ტრაქტატში“ ეთნონიმი “ივერიელი” ანუ ქართველი განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით:

- საერთო წინაპარი + ნათესაობა/მოყვრობა;
- მრავალსაუკუნოვანი ერთი ენა და კულტურა;
- ასევე მრავალსაუკუნოვანი საერთო სახელმწიფო.⁴

ნიშანდობლივია, რომ 1790 წლის ტრაქტატის ავტორებისაგან განსხვავდებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უნშიდესი და უნეტარესი ილია მეორე ეთნონიმ „ივერიელის“ (ქართველის) განმსაზღვრელად არ მიიჩნევენ „ერთ სარწმუნოებას“; გარდა ამისა, ახალი ტრაქტატის ტექსტში არსებული ფრაზა: „ასევე, ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი“ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს შვილობის – ივერიელობისათვის – სავალდებულო არ არის „სისხლით ნათესაობა“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიხედვით, „ივერიელი/ქართველი მოიცავს საქართველოს ერთგულ მოქალაქეებს ეთნიკური წარმომავლობის

⁴ სრული კონტექსტი: „ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოქმედი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, საუკუნეთა წინ ერთ ერთად ჩამოყალიბებულნი, მრავალფეროვნებით გამოჩეული ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლობორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი საქვეყნოდ ვაცხადებთ: კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოველადიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი - მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენსა აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება”

მიუხედავად (ერის აღმნიშვნელი ტერმინი არ იზღუდება ეთნიკურობის გაგებით).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც ერის (ეთნიკური ერთობის) მახასიათებლებად მიიჩნევა: ენა, რელიგია, ისტორიული მემსიერება, ცხოვრების წესი (ტრადიციები, ტანსაცმელი, ეროვნული კერძები...). იგივე კრიტერიუმებია გამოკვეთილი საკუთრივ თურქეთის მოქალაქე ქართველთა დასახასიათებლად. ბოლო პერიოდში ამ თემას მიეძღვნა არაერთი წერილი (ფუტკარაძე 2004; ფუტკარაძე 2010; ფუტკარაძე 2011: 221-239; ფუტკარაძე 2012; ფუტკარაძე... 2012: 207-222; ფუტკარაძე 2014..

ბოლო პერიოდის გამოკვლევათაგან დავიმოწმებ პროფ. რ. თოფჩი-შვილის წიგნს: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველო და ქართველები თურქეთში“ (2017). საველე ექსპედიციების მონაცემების საფუძველზე მონოგრაფიაში წარმოდგენილია თურქეთელი **ქართველების ეთნიკური იდენტობის შემანარჩუნებელი ფაქტორები**: ენა, საერთო წარმომავლობა, ისტორიული მემსიერება, ტრადიციები, საჭმელი, ცეკვა-სიმღერა, ტანსაცმელი და „სხვა ხალხების მიმართ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები“ (ამ უკანასკნელი ფაქტორის შესახებ მსჯელობა იხ. გვ. 210). მკვლევარი ასკვნის: „**თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ეთნიკურ იდენტობაში, ქართველად თავის გააზრებაში, რელიგია (მაჰმადიანობა) და ქართული ენის უცოდინრობა ხელს არ უშლის**“ (იქვე: 211).

ჩემს მსჯელობას სწორედ ამ ფრაზის კომენტარებით დავიწყებ:

წარმოდგენილი დასკვნა რეალურად ასახავს თურქეთის მოქალაქე ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილის ეთნიკურ თვითაღქმას. ფაქტია ისიც, რომ ქართველური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეთა ეთნიკური იდენტობა სხვადასხვაგვარია. თურქეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 30 ექსპედიცია მაქვს ჩატარებული; ჩანერილი მაქვს ბევრი მასალა, კოლეგებთან ერთად გადაღებული მაქვს 10-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი; ბოლო 35 წელია ჩემთან ინტენსიურად ჩამოდიან თურქეთელი მეგობრები; ჩემი ხელმძღვანელობით თუ კონსულტაციებით თურქეთის ქართველთა თემატიკაზე დაცულია ორი და მალე მომზადდება კიდევ ორი სადოქტორო დისერტაცია... შესაბამისად, საფუძველი მაქვს ვთქვა:

ქართველური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილის ეთნიკური იდენტობა არის გამოკვეთილად ქართული, მაგრამ ობიექტური და აკადემიური ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში ბევრად გაიზრდება ეთნიკურად ქართველად თვითაღმქმელთა რაოდენობა. საკუთარი წინაპრების რეალური ისტორიის ცოდნა ბევრად განსაზრავს ეთნიკურ თვითაღქმას.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია სწორედ საკუთარი ისტორიის ცოდნის როლის წარმოჩენა პიროვნების ეთნიკური მეობის (თვითობის) გააზრებაში. თვალსაჩინოებისათვის ერთმანეთს შევუპირისპირებ ირანისა და თურქეთის მოქალაქე ქართველთა

ეთნიკური თვითაღქმის მიმართებას სამშობლოდან გადმოსახლების ისტორიის ცოდნასთან.

ჩემი დაკვირვებით, **ქართველური წარმოშობის ირანის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა (პროცენტულად!) თავს უალტერნატივოდ გაიამზრებს ეთნიკურ ქართველად; ქართველური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის ეთნიკური ვინაობა კი გაორებულია** (თუმცა რაოდენობრივად თურქეთში მეტია საკუთარი ქართველობის ღირსეულად დამცველი ქართველი).

ასეთი განსხვავებული პროცენტული მაჩვენებელი აიხსნება სწორედ ისტორიის ცოდნა/არცოდნით – ისტორიული მესხიერებით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ:

ირანისა და თურქეთის რომელიმე ორ მოქალაქეს შეიძლება ერთნაირად ჰქონდეს შენარჩუნებული დედაენა (ქართული ენა), ერთნაირი ჰქონდეთ რელიგიური იდენტობა (არაქრისტიანული), შეიძლება ერთნაირი სიმძაფრით ახსოვდეთ თავიანთი ქართული ფესვები, წინაპრები... მაგრამ მაინც განსხვავებული იყოს ეთნიკური იდენტობა. მრავალი წლის მანძილზე ვცდილობდი გამერკვია, რა იყო განსხვავებული ეთნიკური თვითაღქმის **მთავარი საფუძველი**. ბუნებრივია, მიზეზი რამდენიმეა; მათგან ზოგი ზერელეა, მაგ., ეკონომიკური ინტერესი, ზოგიც – პრაგმატული, მაგ., მოცემულ სახელმწიფოში ინტეგრირების წყურვილი და სხვ. **ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან ჩემთვის ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა სამშობლოდან წინაპრების გადმოსახლებისა და ახალ სამშობლოში დამკვიდრების ხანგრძლივ პროცესში დაღეჭილი ტკივილი თუ თანაგრძობა;** კერძოდ:

ირანელ ქართველთა ისტორიული განცდა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ქართველები ირანში იძულებით გადაასახლეს; ეს იყო დეპორტაცია., რომელიც საუკუნო ტკივილად დარჩა ფერეიდნელთა, ისპაჰანელთა, ხუზისტანელთა თუ მაზანდარელთა მესხიერებაში. ფერეიდნელთა ტკივილიან მესხიერებას შემორჩა ასევე ციხე მთის ტრაგედია, როდესაც ქერიმხანმა გაჟლიტა ბევრი ქართველი. ეს ტკივილი ფერეიდნელი, ზოგადად, ირანელი ქართველის ცნობიერებაში იქცა უმთავრეს ჯავშანად, რომელმაც დღემდე განსაზღვრა ირანში დეპორტირებულ ქართველთა ქართული მეობის შენარჩუნება.

თურქეთელ ქართველთა ისტორიული განცდა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ქრისტიანებს (რუსებს, გარუსებულ ქართველებს) სურდათ მუსლიმანი ქართველების დამცირება, დახოცვა, განადგურება... ოსმალეთის იმპერიამ დამცირებისა და განადგურებისაგან იხსნა მუსლიმანი ქართველები; შესაბამისად, ოსმალეთი, დღევანდელი თურქეთი არის მათი მხსნელი...

თურქეთელი ქართველების (როგორც ავტოქთონი ქართველების, ასევე, მუჰაჯირთა შთამომავლობის) ცნობიერებაშიც გადასახლების ისტორია მუდმივ ტკივილს უკავშირდება, ოღონდ, საპირისპირო

მიმართულებით: ტკივილის მიმყენებელია არა მტერი, არამედ – ძმა, ქრისტიანი ქართველი.

ბუნებრივია, ასეთი ისტორიული მესხიერება ხელს არ უწყობს თურქეთელ ქართველთა ქართულ იდენტობას; ბევრი თურქეთელი ქართველი გაორებულია და რელიგიის ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, მათ ცნობიერებაში სერიოზული დაპირისპირებაა „სისხლის ყივილსა“ და ისტორიულ მესხიერებას შორის.

არადა, თურქეთელი ქართველების გადასახლების ისტორია ასეთი ნამდვილად არ არის. ისტორია სხვაგვარია! დასუსტებულ საქართველოში ოსმალეთისა და რუსეთის ანტიქართული შეთანხმებით პროვოკაციულად აყარეს ქართველები ისტორიული საცხოვრისიდან (აჭარიდან, ლიგანიდან, ლაზეთიდან...) და ქართული ინტელიგენციის (ილია ჭავჭავაძის და მრავალ სხვათა) პროტესტის, ასევე, პატრიოტი აჭარლების (ლომან ეფენდი ქარცივაძისა და სხვ.) დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 100 წლის წინ გამუსლიმანებული ქართველები გაასახლეს ისტორიული საცხოვრისებიდან.

უამრავი მასალაა დაცული არქივებში, რეალური ისტორია რომ გაიციონ თურქეთის მოქალაქე ქართველებმა.

სამწუხაროდ, ირანშიცა და თურქეთშიც დღესაც ბევრი ცდილობს, რომ დაამახინჯოს ირანსა თუ თურქეთში გადასახლების ისტორია; მაგ., მე სამდღიანი პოლემიკა მქონდა ირანის ელჩთან, როცა ის მოვიწვიე სამეცნიერო კონფერენციაზე ირანელი ქართველების შესახებ (საპატრიარქოს უნივერსიტეტი...).

ასევე, დღემდე მაქვს პოლემიკა თურქეთელ კოლეგებთან, რომელთაც გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, სადაც გაზგასმულია, რომ მუჰაჯირობა განხორციელდა ქრისტიანი ქართველების ბრალეულობითაც...

ეს ყველაფერი საინფორმაციო ომის ნაწილია.

დასკვნა:

ირანელ ქართველებს უკვე გენეტიკურ კოდში აქვთ ის ტკივილი, რომელიც განიცადეს მათ დემორტაციისას; ეს ტკივილი ხელს უწყობს მათი ქართველობის შენარჩუნებას.

თურქეთელ ქართველთა დიდი ნაწილის მესხიერებაში კი მუჰაჯირობა უკავშირდება ხსნას; **თურქეთელ ქართველთა დიდი ნაწილი დღესაც ფიქრობს, რომ მათი სიცოცხლე იხსნა ოსმალეთმა. თურქეთის ქართველობის ეთნიკური იდენტობის გამაორებელია ამჟამინდელი საერთაშორისო ტენდენცია: მოქალაქეობა = ეთნიკურობა (იხ. თურქეთის ელჩთან დისკუსია ფეისბუქის გვერდზე).**

დღეს ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ობიექტური ცოდნა ჰქონდეთ როგორც ირანელ, ასევე, თურქეთელ ქართველებს. ისინი უნდა იყვნენ ერთგული თავიანთი ამჟამინდელი სახლემწიფოებისა, მაგრამ ასევე, უნდა ჰქონდეთ ობიექტური ცოდნა თავიანთი წინაპრების ტრაგედიის შესახებ.

ისტორიას ნუ დავამახინჯებთ! შეგვიძლია, სიმართლით შევძლოთ თანაცხოვრება!

დამონშებული ლიტერატურა

- თოფჩიშვილი 2017:** თოფჩიშვილი რ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი, 2017.
- ფუტკარაძე 2003 (1):** ფუტკარაძე ტ., ქართლი – ქართველთა “ფრიალი (//მრავალი!) ქვეყნის” საერთო სახელი (რომელი ქვეყნები ითვლება ქართლად „გრ. ხანძელის ცხოვრების” მიხედვით?). თსუ მესხეთის ფილიალისა და გრიგოლ ხანძელის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ახალციხე, 17-18.04.2003.
- ფუტკარაძე 2003 (2):** ფუტკარაძე ტ., ქართლის საზღვრების საკითხისათვის „გიორგი მერჩულეს” მიხედვით. ქართველოლოგიური კრებული, II. თბილისი, 2003.
- ფუტკარაძე 2004:** ფუტკარაძე ტ., მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ეროვნულ-ენობრივი თვითგანსაზღვრისათვის. რესპუბლიკური კონფერენციის (ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა. მასალები. თბილისი, 2004.
- ფუტკარაძე 2010:** ფუტკარაძე ტ., ამასიელი ქართველები; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა”, 02-03 ოტომბერი, სხალთის ეპარქია, 2010.
- ფუტკარაძე 2011:** ტ. ფუტკარაძე, 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის” ტექსტის სემანტიკური ანალიზი (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი; მავასხელობითი/ მავასხელობითი სიყვარული). ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შურნალი წელიწდეული, III. ქუთაისი, 2011.
- ფუტკარაძე... 2011:** ფუტკარაძე ტ., ლაბაძე შ., თურქეთში მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შურნალი წელიწდეული, III. ქუთაისი, 2011.
- ფუტკარაძე 2012:** ფუტკარაძე ტ., თურქეთის მოქალაქე ავტოქტონ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობისათვის (ტაოელი ქართველები). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის II საერთაშორისო კონფერენცია: ტაო-კლარჯეთი (მასალები). ბათუმი, 05-08.09.2012.
- ფუტკარაძე... 2012:** ფუტკარაძე ტ., თანდილაფა ი., ლაბაძე შ., ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები. შურნალი ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, 2012.
- ფუტკარაძე 2014:** ფუტკარაძე ტ., ენა როგორც პიროვნული, ეთნო-კულტურული და ეროვნული მემობის (იდენტობის) განმსაზღვრელი ფენომენი აქტიური გლობალიზაციური ტენდენციების ეპოქაში /ენობრივი მემობა, ეთნიკური მემობა, ეროვნული მემობა/. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო კონფერენცია „კვლევები გადაშვით სივრცეში“. თბილისი, 28.11.2014.